ISSN 1512-1801

The 4th Teacher Conference "**University and School**" (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

პრაქტიკის როლის გაძლიერება ინკლუზიური განათლების ეფექტური დანერგვის პროცესში

ნათენაძე მარეხ

პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

დღეს საქართველოს ყველა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულება ცდილობს მოზარდთა განათლებისთვის შექმნას შესაბამისი გარემო და საჭირო პირობები, მიუხედავად მათი განსხვავებული და მრავალფეროვანი საჭიროებების, უნარებისა და შესაძლებლობისა. ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება ცდილობს ინკლუზიური განათლების დანერგვას და მისი პრინციპებიდან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება ყველა მოზარდის სწავლება სხვა მოზარდებთან ერთად. შესაბამისად, მიმდინარეობს ამ მიმართულებით მასწავლებელთა მომზადება-გადამზადებაც.

რაც შეეხება მომავალ მასწავლებელთა მომზადების საკითხს, უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მეცნიერებებისა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ისწავლება სასწავლო დისციპლინა „ინკლუზიური განათლება".

აღნიშნული კურსი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისწავლება 2007-2008 სასწავლო წლიდან. დისციპლინის სწავლება 2009-2010 სასწავლო წლიდან მიმდინარეობს საჯარო სკოლებში (მათ შორის, სპეციალიზებული პროფილის სკოლაში) ჩართული პრაქტიკით, რაც კურსის სილაბუსის შესაბამისად მოიცავს აქტივობებს (მაგალითად, მოსწავლეთა სწავლის სირთულეების იდენტიფიკაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, მისი განხორციელების პროცესი, სწავლების ეფექტური სტრატეგიების გამოყენება, მოსწავლის პორტფოლიო, წინსვლის შეფასება, მოსწავლის თვითშეფასება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეფასება, მონიტორინგი და მუდმივი განახლება, კულტურული ღონისძიებები, როგორც ინტერაქციის, ურთიერთობისა და ინკლუზიის განვითარების საშუალება და სხვ.).

ამ მიმართულებით საჯარო სკოლებთან ჩვენი რამდენიმეწლიანი მუშაობის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინკლუზიური განათლების დანერგვა-განხორციელების პროცესი განიცდის განვითარებას; იცვლება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შეფასების პროცედურები და ინსტრუმენტები. თუმცა ვითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ზოგადად, როგორც ნებისმიერი სიახლე, ინკლუზიური განათლების დანერგვაც არ

ISSN 1512-1801

The 4th Teacher Conference "**University and School**" (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

წარმოადგენს მარტივ პროცესს, აუცილებლად საჭიროებს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების კოორდინირებულ მუშაობას, საჭიროების შემთხვევაში - მარეგულირებელი წესებისა და პროცედურების შეცვლას. წარმოდგენილ სტატიაში ვისაუბრებთ და განვიხილავთ საკითხებს ჩვენი პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე.

საკვანძო სიტყვები:
ინკლუზიური განათლება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ინკლუზიური განათლება ჩართული პრაქტიკით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ხარისხიანი განათლების მიღება, ინტეგრაცია, სოციალური განვითარება, პანსიონური მომსახურების სპეციალიზებული პროფილის საჯარო სკოლა.

დღეს საქართველოში ფუნქციონირებს როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლები. მოქმედებს ასევე სპეციალიზებული პროფილის მქონე საჯარო სკოლები რომელიმე კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროების მიხედვით (მაგალითად, გონებრივი, სენსორული (სმენის, მხედველობის), ქცევის, მეტყველების დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის და სხვ., სადაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისაგან განსხვავებით, შექმნილია შესაბამისი პირობები მოზარდთა განათლების უზრუნველყოფის მიზნით და შესაძლებელია მოსწავლის საჭიროების დაკმაყოფილება, მისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა (1; 2). აღნიშნულ პირობებში მნიშვნელოვანი და აუცილებელია გამოინახოს გზები და საშუალებები სპეციალური პროფილის მქონე სკოლებში მოსწავლეთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშესაწყობად. აქედან გამოდინარე, ცხადი ხდება, რომ დღეს სპეციალური პროფილის მქონე სკოლები გარკვეული საჭიროებების წინაშე დგანან. საჭიროებების წინაშე დგანან ასევე საჯარო და კერძო სკოლებიც. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გავეცანით სათანადო ლიტერატურას და საქართველოში ჩატარებულ კვლევებს (1; 2).

პრობლემა

საკითხის შემდგომი შესწავლის საფუძველზე საჭიროდ მიგვაჩნია, რომ გაუმჯობესებას საჭიროებს სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვისა და მისი შემდგომი განხორციელების პროცესი. მეტი ხელშეწყობაა საჭირო სპეციალური პროფილის მქონე სკოლებში მოსწავლეთა საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის; სპეციალური სკოლების მისია ხომ სხვა ყველა სკოლის მისიის მსგავსია და მიზნად ისახავს მოსწავლის სწავლას, აღზრდას და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას.

თავის მხრივ, ინკლუზიური განათლება აღიარებს მრავალფეროვნებას. ეს არის მიდგომა, რომელიც მოსწავლეთა განსხვავებულობას არ აღიქვამს, როგორც პრობლემას. ამავე დროს,

ISSN 1512-1801

The 4th Teacher Conference "**University and School**" (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ინკლუზიური განათლება გულისხმობს თითოეული ადამიანის (პირის) ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველყოფას, რაც რეალურად, სკოლებში არსებულ პირობებში, გარკვეულწილად, წარმოადგენს პრობლემას.

პრობლემის გადაწყვეტის გზა

სამცხე-ჯავახეთის სკოლების მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, სპეციალური სკოლის საჯარო სკოლად გარდაქმნის შემდეგ, სკოლაში გარკვეული ცვლილებები მოხდა, კერძოდ, ახალციხის სპეციალური სკოლის საჯარო სკოლად გარდაქმნამ სკოლას იარლიყი - ე.წ. „გონებაშეზღუდულთა სკოლა" ჩამოაშორა, რამაც სკოლის მოსწავლეთა მშობლებში კმაყოფილება გამოიწვია. რაც შეეხება სკოლის ადმინისტრაციას და პედაგოგიურ კოლექტივს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისინიც გამოთქვამენ კმაყოფილებას, თუმცა ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მათთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს, რადგან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლებთან შედარებით, ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მისაღწევად განათლების სამინისტროს მიერ გრიფირებული სახელმძღვანელობის გამოყენებით მათ მეტი ძალისხმევა უხდებათ; როგორც სპეციალიზებული პროფილის სკოლაში, 2006 წლიდან აღარ იყენებენ სპეციალურ ადაპტირებულ სახელმძღვანელოებს. სკოლის სპეციფიურობა კი დოკუმენტურად არსად აისახება (სკოლა არის საჯარო და არ აქვს სხვა სპეციალური სტატუსი), რაც აფერხებს სკოლისთვის დამატებითი დაფინანსების მოპოვებას. ამავე დროს, სკოლა პანსიონური მომსახურების ტიპისაა.

დასახელებულ სკოლაში ჩვენი რამდენიმეწლიანი სასწავლო პრაქტიკის განხორციელების საფუძველზე აღვნიშნავთ, რომ სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ძირითადად ხორციელდება მოსწავლის სოციალური და არა მისი საგანმანთლებლო საჭიროებების საფუძველზე. შედეგად, სკოლის მოსწავლეს, შესაძლებელია, არ ჰქონდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, რომელი ნიშნითაც სკოლაა სპეციალიზებული. არის რამდენიმე ისეთი შემთხვევა, როდესაც მოსწავლე განაწილებულია აღნიშნულ სკოლაში იმის გამო, რომ ამ რეგიონში ცხოვრობს და არ არის გათვალისწინებული მისი საგანმანათლებლო საჭიროება. სირთულეს წარმოადგენს ასევე მოსწავლის მრავლობითი დარღვევაც. ამ შემთხვევაში გასარკვევია, თუ რომელი სპეციალიზებული პროფილის მქონე სკოლის კონტიგენტს წარმოადგენს მოსწავლე, თუმცა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ის მაინც აღნიშნულ სკოლაში ირიცხება. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ინკლუზიური განათლების პროცესში მნიშვნელოვანი და აუცილებელია მოსწავლეთათვის ხარისხიანი განათლების მიღება, რაც მოითხოვს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციას, მეთოდებისა და მიდგომების შეცვლას. მნიშვნელოვანია ასევე სწავლების სოციალური ასპექტი, მოსწავლეთა ინტეგრაცია, ინტერაქცია (დიალოგი მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, მოსწავლეებს შორის) და სხვ.; სასწავლო პროცესის ცენტრში უნდა

ISSN 1512-1801

იყოს თითოეული მოსწავლე. აუცილებელია მათი სოციალური კომპეტენციის ამაღლება, ეფექტური ურთიერთობისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება.

ამდენად, მნიშვნელოვანი და აუცილებელია:

- პანსიონური მომსახურების საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის დროს გათვალისწინებული იყოს მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები (ამ ეტაპზე კი მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა ძირითადად ხდება მისი სოციალური საჭიროებიდან გამომდინარე. გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს ის საკითხიც, რომ პანსიონური მომსახურების სკოლები ექვემდებარებიან ორ სამინისტროს: 1) განათლებისა და მეცნიერების და 2) შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის) (3; 4);
- ოჯახის მიერ დროულად მოხდეს სოციალურ აგენტთან დაკავშირება, რათა არ შეფერხდეს ბავშვის სკოლაში ჩარიცხვა;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა მუდმივად იზრუნონ მატერიალური და ადამიანური რესურსების გაუმჯობესებაზე, განივითარონ ინფრასტრუქტურა, განახორციელონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, გამოხატონ მზაობა სკოლაში ყველა ტიპის მოსწავლის მისაღებად;
- აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური პროფილის მქონე სკოლების თანამშრომლობა;
- ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხს წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის სკოლის საბაზო და/ან საშუალო საფეხურის დამთავრების შემდეგ, პროფესიის დაუფლების მიზნით, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. ამ მიზნით ვფიქრობთ, პანსიონური მომსახურების სპეციალიზებული პროფილის მქონე საჯარო სკოლებში საშუალო საფეხურზე ამოქმედდეს პროფესიული პროგრამები;
- გამომდინარე იქედან, რომ ბრაილისა და ჟესტური ენის სწავლება მხოლოდ სენსორული დარღვევის/დეფიციტის (მხედველობა, სმენა) მქონე მოსწავლეებისთვის სპეციალიზებული პროფილის სკოლებშია შესაძლებელი, ასევე კომუნიკაციისა და ორიენტაციის აუგმენტური (დამხმარე) და ალტერნატიული ფორმების სწავლება აღნიშნული სპეციალიზებული პროფილის სკოლებისთვისაც შედარებით ახალი ტიპის მომსახურებას წარმოადგენს, დეფიციტურია შესაბამისი მომზადების მქონე მასწავლებლები (რასაც ადასტურებს საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგებიც (1)), ვფიქრობთ, საჭირო კადრების დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით უმაღლესმა სასწავლებლებმა მოამზადონ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები (ყველა საჭირო პროცედურის დაცვით) და უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და პროფესიული სასწავლებლები შესაბამისი კადრებით.

ISSN 1512-1801

The 4th Teacher Conference "**University and School**" (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

შეჯამება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ინკლუზიური განათლება მოითხოვს თითოეული სკოლისა და საზოგადოების ძალისხმევას მოსწავლეთა/მოზარდთა ინდივიდუალური მიდგომების განსახორციელებლად. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეთათვის ხარისხიანი განათლების მიღებას, მათ ინტეგრაციასა და სოციალურ განვითარებას.
ვითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ზოგადად, როგორც ნებისმიერი სიახლე, ინკლუზიური განათლების დანერგვაც არ წარმოადგენს მარტივ პროცესს, აუცილებლად საჭიროებს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების კოორდინირებულ მუშაობას, საჭიროების შემთხვევაში - მარეგულირებელი წესებისა და პროცედურების შეცვლას.

ამავე დროს, ვსარგებლობთ შემთხვევით და ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქის საჯარო სკოლებს მადლობას ვუხდით თანამშრომლობისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ინკლუზიური განათლების მაჩვენებლები საქართველოში. კვლევის ანგარიში. თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2013.
2. www.tpdc.ge/images/stories/
3. www.mes.gov.ge/
4. www.moh.gov.ge/